საქართველოს ძღიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№156 (6381) 29 დეკემბერი შაბათი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

ახალ წელს აღებულ დავალებათა შესრულებით, კონკრეტული საქმეებით შევხვდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

საქართველოს კომპარტიამ დამოუკიდებლობის მოპოვებით ბოლომდე გააცხადა თავისი ეროვნული პოზიცია და ნება, სრულიად საქართველოს აუწყა, რომ უმთავრეს საპროგრამო მიზნად იგი ისახავს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული იდეალების მსახურებას. დამოუკიდებლობის პირველმა მოკრძალებულმა ნაბიჯებმა დაარწმუნა რესპუბლიკის მოსახლეობა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია არის ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც, რესპუბლიკის სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად, უნდა აშენოს თავისუფალი, ზნეობრივი, დემოკრატიული საქართველო. ასეთ პირობებში, როცა საშიშ ზღვარს მიაღწია კონსოლიდაციის დეფიციტმა, აშკარად გამოჩნდა ჰორიზონტზე იმის მცდელობა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია ჩამოაშორონ პოლიტიკური მოქმედების არენას. ყოველივე ეს საჩინო ხდება ისეთი ქმედებებით, რომლებიც უშუალოდ არის ნასესხები პოლიტიკური ბრძოლის იმ არსენალიდან, საქართველოს დამოუკიდებელმა კომპარტიამ რომ უარყო და დაგმო.

ჩვენი არაერთგზისი თხოვნის, მიმართვისა თუ განცხადების მიუხედავად, უკანასკნელი დღეების ქრონიკა გვარწმუნებს, რომ თითქმის წესად იქცა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში (მაგ. რუსთავში, ახმეტაში, ახალციხეში, ბაღდათში, ვანში და სხვ.), პარტიულ დაწესებულებებსა და პარტიის კუთვნილ შენობებში შეჭრის, თანამშრომელთა შევიწროებისა და დარბევის, მატერიალურ ფასეულობათა გატაცების ფაქტები. ყოველივე ეს ხორციელდება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის, გარკვეული პიროვნებების ხელდასმითა და სანქციით, უზნეობითა და ვანდალიზმით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი მიზნის განხორციელებისთვის საერთო ძალისხმევა უნდა ეფუძნებოდეს პარიტეტულობის, ე. წ. „მრგვალი მაგიდის“ პრინციპებს, სადაც ყველა პოლიტიკური ძალა ერთნაირი უფლებებით და პრივილეგიებით სარგებლობს. გვახსოვდეს, რომ დევნა-შევიწროებითა და რბევით მკვიდრი ნიადაგი მზადდება გამთიშველი, დესტრუქციული, ფარული ძალების პოლიტიკურ ასპარეზზე საბოგინოდ.

ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ პარტიული დაწესებულებები, პარტიის კუთვნილი შენობები და მატერიალური ფასეულობანი სრულიად ახლებურ, ეროვნულ შინაარსს იძენენ დღეს, ყოველივე რესპუბლიკის მოსახლეობის საკუთრებაა და მის ინტერესებს ემსახურება. ნურავინ იფიქრებს, რომ პარტიის ქონება ვიწროპარტიულ, ეგოისტურ ინტერესებსა და მავანთა და მავანთა ამბიციების დაკმაყოფილებას მოხმარდება.

საქართველოში დამკვიდრებული მრავალპარტიულობა უპირველესად იმას ნიშნავს, რომ ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ დიქტატს, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. ჭეშმარიტება ერთია და ვიყოთ მისი მსახურნი.

ჩვენ ვამბობდით და კვლავაც გავიმეორებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია არც ერთ კონსტრუქციულ პოლიტიკურ ძალას არ უპირისპირდება, იგი თავს მიიჩნევს ოპოზიციად მხოლოდ მტრული ძალების მიმართ და ნურავის ექნება იმის იმედი, რომ ხელოვნური დაპირისპირებით ჩვენი პოზიცია შეიცვლება.

მოგმართავთ თხოვნით, ვისაც კი რაიმე პრეტენზია გაგაჩნიათ პარტიული დაწესებულებების, პარტიის კუთვნილი შენობებისა და მატერიალური ფასეულობების მიმართ, დავსხდეთ „მრგვალ მაგიდასთან“ და თანაბარუფლებიანობის ატმოსფეროში გავარკვიოთ ყველა სადავო საკითხი.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტში

„სახალხო მეურნეობის სტაბილიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითად მიმართულებათა“ შესაბამისად სამომხმარებლო ბაზრის ნორმალიზაციის, სპეკულაციისა და უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სახალხო მოხმარების დეფიციტური საქონლის გამოშვების გაფართოების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფუფუნების საგნებსა და სხვა საქონელზე, რომლებიც არსებით გავლენას არ ახდენენ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, სახელშეკრულებო (თავისუფალი) საცალო ფასების ფორმირებაზე გადასვლის შესახებ. კერძოდ, ასეთი პრინციპებით ჩამოყალიბდება ფასები საიუველირო ნაწარმზე; მოზრდილთა ნატურალური ტყავის, ნოხებისა და ხალიჩეულის, მაღალმხატვრულად შესრულებული ფაიფურჭაშანურის, ბროლის, მაღალი კლასის ტექნიკურად რთულ რადიოელექტრონულ ნაწარმზე. მაღალი ხარისხის ცალკეული სახის ავეჯზე, გარნიტურზე, მაღალმხატვრულად შესრულებულ ნაკრებზე; იმპორტული წარმოების რიგ საქონელზე; მსუბუქი ავტომობილების სათადარიგო ნაწილებზე; დელიკატესური თევზის ნაწარმსა და ცალკეული სახის ხორცის პროდუქტებზე. ამ სიაში შედის აგრეთვე იმპორტული წარმოების საქონელი, კერძოდ ვისკი, ჯინი, ამერიკული სიგარეტები.

საცალო ფასებს დაწესებენ დამამზადებელი საწარმოები, სავაჭრო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების საფუძველზე ბაზრის კონკურენციის გათვალისწინებით (არსებული მოთხოვნისა და წინადადებათა საფუძველზე).

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევქმნათ დამატებითი სტიმულები სახალხო მოთხოვნის საქონლის წარმოების გადიდებისა და ამით ბაზრის უზრუნველსაყოფად.

ჯანსაღი თესლი უხვი მოსავლია

ყველასათვის ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველთა საფუძველი ყოველთვის იყო, არის და იქნება მარცვლეულის მეურნეობა. მარცვლეული კულტურების წარმოება განმსაზღვრელ როლს ასრულებს ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში.

ამდენად, ბუნებრივია, მარცვლეულის წარმოება რომ გაიზარდოს, ყოველმხრივ უნდა ამაღლდეს მიწათმოქმედების კულტურა. ამ დიდმნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა კი შეუძლებელია კონდიციური თესლის გარეშე.

სწორედ ახლა, ზამთრის ამ დღეებში უნდა ხდებოდეს სიმინდისა და ლობიოს თესლის მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის. მაგრამ, საკითხავია, საამისოდ დავიჭირეთ თუ არა თადარიგი? მოსავლის აღებისთანავე მოვიმარაგეთ მარცვლეულის სათესლე მასალა?

სულ, რაიონში არსებული სახნავ-სათესი სავარგულების რაოდენობის მიხედვით მომავალი, 1991 წლის საგაზაფხულო თესვისათვის 685 ცენტნერი მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლია მოსამარაგებელი. აქედან სიმინდის სათესლე მასალა—565 ცენტნერი, ლობიოსი კი—120 ცენტნერი.

როგორც ვიცით, რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები გადასული არიან ოჯახურ იჯარაზე. თესლეულის გამოყოფასა თუ მისი კონდიციურობის შემოწმებაზე ამან ჯერ კიდევ გასულ წელს იქონია უარყოფითი გავლენა, რაც სამეურნეო წლის მანძილზე მკვეთრად შეიმჩნეოდა კიდეც. ხოლო შემოდგომაზე მოწეული მოსავალი მოიჯარეებმა ფართობებიდან მთლიანად სახლში წაიღეს. ამდენად, დღეისათვის, საზოგადოებრივ მეურნეობათა ნაღიებში არც ერთი კილოგრამი თესლი ჩაყრილი არ არის.

სამაგიეროდ, მოსახლეობაშია გეგმით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობის სათესლე მასალა შენახული, მაგრამ იგი არსად აღრიცხული არაა და უფლება აქვთ მისი შეხედულებით, როგორც მოესურვებათ ისე გამოიყენონ. სწორედ ახლა ჯერი გლეხობაზეა. იმ მიზნით, რომ ისინი გარანტირებული იქნენ მარცვლეულის უხვი მოსავლით, არ დარჩეთ გამეჩხერებული ყანები, დროულად უნდა მოახდინონ სათესლედ განკუთვნილი მარცვლეულის კონდიციურობის შემოწმება, ამიტომ ვურჩევთ, ჩვენთან, რაიონის ცენტრში არსებული თესლეულისა და სარგავი მასალის სახელმწიფო ინსპექციაში წარმოადგინონ სათესლე მასალა, ჩვენი სპეციალისტები ლაბორატორიულად შეამოწმებენ თესლის კონდიციურობას და უსასყიდლოდ გაუწევენ ყოველგვარ მომსახურებას.

ნ. ლიპარტელიანი,

თესლეულისა და სარგავი მასალის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

მასწავლებელთა საყურადღებოდ!

1991 წლის 4 იანვარს ცაგერის საშუალო სკოლაში გაიმართება საგნობრივი სექციების სხდომები. დასწრება სავალდებულოა თითოეული საგნის სპეციალისტისა, გარდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისა.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სექციაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელები.

განათლების განყოფილება.

კულტურა

■

სადღეისო მოთხოვნები სხვაა

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად მუშაობის გაუმჯობესების საქმეში ნაკლოვანებები გაჩნდა ლასურიაშის სასოფლო კულტურის სახლს, რის შესახებ სამართლიანად იყვნენ გაკრიტიკებული რაიონულ გაზეთში. ეს გაითვალისწინა კულტურის განყოფილებამ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კულტურის სახლის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. გადაახალისეს კულტურის სახლის ხელმძღვანელობა, დირექტორად ერთი წლის წინ დაამტკიცეს ახალგაზრდა მუშაკი ლია მუშკუდიანი, რომელიც 6 წელი ამ კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობა დააწყებინეს ხათუნა კოპალიანს, რომელიც ენერგიული ახალგაზრდაა.

კულტურის განყოფილებისა და სარაიონო კულტურის სახლის მუშაკები, მეთოდისტები მეტ დახმარებას უწევენ, სასოფლო საბჭოს აღმასკომმაც მეტი კონტროლი დააწესა კულტურის სახლის მუშაკების საქმიანობაზე, რის შედეგად მუშაობა ერთგვარად გაუმჯობესდა.

კულტურის სახლის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაახალისა საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობა, შემოიკრიბა აქტივი. ადგილობრივი საშუალებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შედგენილი წლიური და კვარტალური გეგმების საფუძველზე აწარმოებენ მუშაობას.

შექმნილია დრამატული, აგიტმხატვრული, ქარგვის, ჭადრაკის, შაშის, ფრენბურთის, მხატვრული კითხვის, ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრეები. დრამატულმა წრემ (ხელმძღვანელი ლ. მუშკუდიანი) მოამზადა და მაყურებელს უჩვენა გოგიაშვილის სკეტჩები „გურიაში რა გინდოდა“ და „ანონიმკა“. მუშაობა გააუმჯობესა ქარგვის, მხატვრული კითხვის, ჭადრაკისა და შაშის წრეებმა. ხალხური სიმღერების შემსწავლელმა წრემ (მამაკაცთა გუნდი) დაამუშავა და შეისწავლა ლეჩხუმური ხალხური სიმღერები.

მოწონებას იმსახურებს აგიტმხატვრული ბრიგადის საქმიანობა (ხელმძღვანელი ს. კოპალიანი). მათ მიერ რამდენჯერმე იქნა ჩატარებული კონცერტები კულტურის სახლში, სოფლებში მახაშსა და დეხვირში. ზონალურ და რაიონულ დათვალიერებაში კარგად მომზადებული პროგრამით გამოდიან და საპრიზო ადგილებს იკავებენ.

კულტურის სახლში ტარდება კინოსეანსები, ხოლო ზამთრის პერიოდში რადგან დარბაზი არ თბება, კინო იშვიათად, ისიც დღისით ტარდება მოსწავლეებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით წელს ერთგვარად გაუმჯობესდა კულტურის სახლის მუშაობა, მათ საქმიანობაში კვლავაც არის ხარვეზები და ნაკლოვანებები.

ლასურიაშის კულტურის სახლში ჯერ კიდევ 1959 წელს და შემდგომ წლებში, ვიდრე 1980 წლისა ჩქეფდა საკლუბო მუშაობა. დრამატული წრე, მომღერალთა გუნდი, აგიტმხატვრული ბრიგადა მართავდნენ მრავალ მხატვრულ ღონისძიებას, იდგმებოდა სპექტაკლები, ტარდებოდა კონცერტები, აგიტმხატვრული ბრიგადა გასვლით ღონისძიებებს აწყობდა ფერმებსა და კოლმეურნეობების ბრიგადებში. სიმღერის გუნდის მიერ, რომელსაც ხელოვნების საუკეთესო მუშაკები მექიყურაშვილი და მისი ქალიშვილი რუსუდანი ხელმძღვანელობდნენ, წლების განმავლობაში მომზადებული იქნა მრავალი ქართული ხალხური და ლეჩხუმური სიმღერა. ამ გუნდმა, რომლის მუშაობა სეზონურ ხასიათს ატარებდა, მალე შეწყვიტა არსებობა. ბოლო წლებში კულტურის სახლთან არის მცირე შემადგენლობის მომღერალ მამაკაცთა ჯგუფი. სოფელში ნამდვილად არსებობს ძალები კარგი სიმღერის გუნდის შექმნისათვის.

ახალგაზრდობა ერიდება მხატვრულ თვითმოქმედებაში ჩაბმას, რატომღაც გაქრა ახალგაზრდობის ინტერესები, მისწრაფებები და ამის შედეგია, რომ კულტურის სახლში არ მზადდება და არ იდგმება სპექტაკლები. ამის მიზეზი მათთან კულტურის სახლის მუშაკთა ქმედითი კავშირის არ არსებობაში უნდა ვეძებოთ, რაც უნდა გაითვალისწინოს კულტურის სახლის მუშაკებმა.

დღევანდელობის მოთხოვნებს სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს კულტურის სახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მართალია შენობას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, მაგრამ წრეობრივი მუშაობისათვის არ ყოფნით ოთახები. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ აქვთ ერთი პიანინო და მხოლოდ ერთი ფანდური, სხვა რაიმე სახის მუსიკალური ინსტრუმენტი არ გააჩნიათ.

თანამედროვე ეპოქაში მწვავედ დგას საკითხი თავისუფალი დროის გამოყენების შესახებ. სწორედ კულტურის სახლი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა წარმოადგენდეს თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების კერებს, მაგრამ კულტურის სახლის მუშაობის დღის რეჟიმი ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა, მუშაობას იწყებენ 10 საათზე და ამთავრებენ 18 საათზე, სწორედ იმ დროს, როცა ღია უნდა იყოს კულტურის სახლი, რომ სამსახურის შემდეგ, საღამოს საათებში მოეწყოს ტელევიზორის კოლექტიური მოსმენა და სხვა გასართობი ღონისძიებები.

ცნობილია, რომ არ არსებობს ადამიანი კულტურის გარეშე, კულტურაში და კულტურის საშუალებებით ახდენს იგი თავისი არსებობის განხორციელებას. მატერიალური და სულიერი კულტურა განსაზღვრავს ადამიანის შინაგან ცხოვრებას, მის დამოკიდებულებას სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური მოვლენების მიმართ, არკვევს ადამიანის ადგილსა და როლს საზოგადოებაში, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარისა და შესაძლებლობების გამოვლენას.

დღეს მეტად სჭირდება საქართველოს სულიერად და კულტურულად განვითარებული ადამიანები, რომელთა ჩამოყალიბებაში ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს კულტურის სახლებმა, საჭიროა დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნას მუშაობა ლასურიაშის სასოფლო კულტურის სახლმა.

ვლ. დავითულიანი.

მიიწურა 1990, ეკონომიურად [illegible] საქართველოს ისტორიაში [illegible] წადი.

თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმის არსებული ფინანსური მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში, საერთოდ, საბჭოთა კავშირში.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას გვევალება მოქალაქეებს მათ მიერ 1990 წელს მიღებულ შემოსავალზე მოვაგონოთ მოვალეობა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ. ამის თაობაზე მი-

შემოსავლება და მოქალაქეობრივი ვალდებულება

ღებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სპეციალური წერილი.

ამისათვის საგადასახადო ინსპექციამ გასწია მოსამზადებელი სამუშაო, რათა უზრუნველყოს მოქალაქეთა დეკლარაციების მიღებისა და განხილვის საქმის სწორი ორგანიზაცია. ინსპექციებში შექმნილია ნორმალური პირობები გადამხდელთა მიღებისა, მოქალაქეთა შემოსავლების შესახებ წარმოდგენილი ცნობების სისწორის გასაკონტროლებლად, დეკლარაციის გაფორმებისათვის.

ინსპექციები ამასთან მზად არიან დეკლარაციების წარმოუდგენლობის ან არასწორი წარმოდგენის შემთხვევაში გამოიყენონ ჯარიმები, საფინანსო სანქციები, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ჩვენი თვითმიზანი, პირიქით.

დეკლარაციებს წარმოადგენენ მოქალაქეები, რომლებმაც მიმდინარე წელს მიიღეს შემოსავლები: საიჯარო ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს მიხედვით, თუ ასეთი სამუშაო გრძელდებოდა 2 თვეზე მეტს წლის განმავლობაში.

ვინც მიიღო საავტორო გასამრჯელო მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში;

თანხები აღმოჩენების, გამოგონების და სამრეწველო ნიმუშებისათვის;

დეკლარაციები ვრცელდება შემოსავლებზე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან;

აგრეთვე მოქალაქეებზე, რომლებმაც მიიღეს შემოსავლები შენობების, ბინების, ოთახების და სხვა ქონების გაქირავებიდან კოოპერაციული, კომერციული და აქციონერული ბანკების დაწესებულებებში ანაბრების პროცენტებისა და მოგების სახით.

დეკლარაციების წარმოდგენა გახლავთ მოქალაქეობრივი ვალდებულება. გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენთან, ცაგერის საგადასახადო ინსპექციაში.

აბრეშუმის სამშობლო





ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ხშირად უწოდებენ „აბრეშუმის სამშობლოს“. აქ ზომიერი ჰავა და წყლის სიუხვეა. ქალაქ ცზიასინის საწარმოები ითვლება აბრეშუმის ძირითად მწარმოებლად. ბოლო 5 წლის მანძილზე, აქ სოკოებივით მომრავლდნენ უცხოეთის ფირმების აქაურ მრეწველებთან ერთობლივი საწარმოები.

სურათებზე: აბრეშუმის მურის გამოსაყვანი ინკუბატორი. იგი მდებარეობს ქალაქ შანხაისთან ახლოს;

ძველი ხიდი მდინარე ცზიანინზე.

ქვემოთ—აბრეშუმის საწარმოს მზა პროდუქციის საწარმოში.

სიტყვა საქმიანი

ჯონოულის ხიდი ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილია. ცაგერი-ქუთაისის საავტომობილო გზის ეს მონაკვეთი ბევრჯერ გამხდარა საბედისწერო. გასულ შემოდგომაზე ზედ ხიდზე ავარია მოხდა—ტრაქტორმა გაანგრია ხიდის გვერდითი მოაჯირი და წყალში გადაიშვა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა.

ახლა გამოივლი ამ ადგილას და თვალში მოგხვდება მოაჯირმორღვეული ხიდი, რომელიც ახალი საფრთხის წინაშე გვაყენებს. ღამეა, ცუდი ამინდია, მძღოლის დაუკვირვებლობაა —არც ერთი არ არის გამორიცხული და შეიძლება იქ კიდევ გამეორდეს ავარიული შემთხვევა.

გზის მშენებლებს განა ჩვენი შეხსენება სჭირდებათ, რომ 2 თვეზე მეტია ეს ადგილი ასე უპატრონოდ გამოიყურება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედმა ეტლში შემიპატიჟა

„იმედო, ნუთუ ღმერთი ხარ,
რომ ფიქრი ყოვლის შენსკენ რბის?“

გრიგოლ ორბელიანი.

ვუმზერ მავანთა იმ დღის შეხვედრას
მწუხარე სახით, თითქოს ვარ მუნჯი,
ფიქრში ჩაფლულა შემოგარენი
ფერისცვალების უხილავ ფუნჯით.

კაცი წყეული გვიკლებს გნიასით
თუმც ვერას გახდა ამჯერად, ველარ...
და ბნელ ღამეში იმედად მოჩანს
ნაღდი ნახტომი ირმისა წელან?

რეკავს ღვთიურ ხმით წმინდა სამრეკლო,
ისმის ზეტკბილი გალობა მწუხრის.
ღმერთო, ბოროტი იქნებ წალეკო,
უფლის წინაშე მოვდრიკე მუხლი.

ვერ შევაჩერე ფიქრი ვერასგზით,
იმედი ბრწყინავს მზის სხივის დარად,
უსაზღვროების მდუმარე მზერით
ბედნიერებას მე ველი მარად.

ოცნების ტალღა ელტვის ზენაარს
და ერისკაცებს აწყდება მზერა,
რა გნებავთ?! მიყვარს, მაქვს მძლი რწმენა,
მიყვარს და მჯერა, მიყვარს და მჯერა!

დრო მოვა, ყველა ერთად ვიქნებით,
არ წაგვიხდება იმედი, სასო,
მივაღწევთ მართლაც ნანატრ იდეალს
ზოგს რომ არ ესმის, ანდა არც ახსოვს...

იმედმა ეტლში შემიპატიჟა,
ეტლი კი მირბის მალი და სწრაფი...
მალ დაიმსხვრევა ქაჯეთის ციხე,
უსამართლობის გაწყდება ძაფი!..

მრისხანე დღენი ქარის თითებით
ნება-ნებაზე აცეკვებს ფოთოლს...
ო, ამ იმედებს ნუ დამიმარცხებ,
ღმერთო, ნუ იზამ, ნუ იზამ ცოდოს.

ვიცი

ვიცი...
გზებით გავლილით
და თვალებით დაღლილით,
თითებით თლილით,
წიგნს რომ ალვიძებს
ყოველი დილით,
ხმით შესაბრალით
დუმილის კუნძულზე
რომ კრთება ალით...
ნაღდი გრძნობით
და არა ომით!
მე
შენ
გადაგარჩენ!..
უკვე გაკვირტულა
ოცნების კვირტი...
მეც იქით ვილტვი...

დარეჯან ჩორგოლიანი.

დღეს შენ სხვაგვარი ლექსი

გჭირდება

საქართველოში პოეზიის ცეცხლით იწვოდნენ,
ოდითგან დღემდე—ეს არავის გაუკვირდება,
მაგრამ მამულო, სათაყვანო ქვეყანავ ჩემო,
დღეს შენ სხვაგვარი, სულ სხვაგვარი ლექსი გჭირდება.
ლექსი ფხიანი, ალესილი, როგორც მახვილი,
ვით ოქროს ქვიშა ჩაბნეული ხნულში მარცვლებად,
ვითა მზე ვაზის მტევან-მკერდში სიტკბოდ ჩაღვრილი,
მომავლისათვის ანთებული სანთელ-საკმევლად,
მამულო ჩემო, შენ ისეთი ლექსი გჭირდება,
ნასოფლარს სოფლად რომ აღგიდგენს, ნასახლარს სახლად,
ქართულ ჯიშ-ჯილაგს გაგიმრავლებს, გაგიძლიერებს,
ქართულ სოფელში ქართულ აკვნებს დაგირწევს მრავლად.
ნავენახარში ეკალ-ბარდებს აგვაკაფვინებს,
ნავენახარში ახალ ვაზებს დაგვარგვევინებს,
ღვთის სახლთ დარბეულთ ნანგრევიდან აღგვადგენინებს,
რანი ვიყავით, ვართ, ვიქნებით—გაგვარკვევინებს,
თორემ ცა შენი, მიწა შენი, მთა-ბარი შენი
ლამაზი როა, სამოთხესავით, ეს ვიცით ყველამ,
მაგრამ სამოთხეს ქრისტესმიერს და ამ ქვეყნიურს
სიტყვით კი არა საქმით, საქმით სჭირდება შველა.

ი. მანდარია.

ცისფერი სარწყული

ლიტერატურული გვერდი № 8

კარს მომდგარ ახალ წელს მოგილოცავთ ჩვენი ლიტერატურული გვერდის ყველა მონაწილეს, გულშემატკივარსა და მკითხველს. გფარავდეთ პოეზიის მადლი.

დედა!...

ღამეა. თვალებს ვხუჭავ და ვერ ვიძინებ. მე შენზე ვფიქრობ, მინდა მოგეფერო, ძალიან მინდა შენი ალერსი.

რატომ მიმატოვე, რად არ დამაცალე მეც მეგრძნო ის უდიდესი გრძნობა, რასაც დედური სითბო ჰქვია? მაშინ წახვედი, როცა ყველაზე უფრო მჭირდებოდა დედის სითბო და ხელი.

ზამთარია, ოდნავ, მაგრამ მაინც მახსოვს, ბუხრის წინ რომ მოგვიჯდებოდი, ზღაპარს კითხულობდი, გვეალერსებოდი, დედა. ისიც მახსოვს თუ რა თბილი იყო შენი მოქსოვილი ხელთათმანები. ახლა უფრო ლამაზი ხელთათმანები მაცვია, დედა, მაგრამ ცივებია ისინი, საშინელი ცივები, რადგან იმ ჩხირებით მოქსოვილი არაა, რომელსაც შენი თითები ეხებოდა.

ვცდილობ დავიძინო, მაგრამ ვხუჭავ თვალებს, ვერ ვიძინებ, შენი ლანდი ჩემთანაა დედიკო და მე რა დამაძინებს. ვიცი, რომ არასდროს არ დამიბრუნდები, მაინც გელოდები. სკოლიდან დაბრუნებისას სულ მგონია, სახლში დამხვდები, ოთახში შესულს შენი ლამაზი თვალები შემომანათებს. ასე მგონია ჩანთას გახსნი და დღიურს ნახავ, ამიტომ ვცდილობ ყოველდღე ფრიადები მოვიტანო სახლში, მაგრამ... არც ჩანთა და არც სიცოცხლე მინდა, მე მხოლოდ შენთან ყოფნა და შენი ალერსი მინდა.

ყოველ დღე დავდივარ შენს საფლავზე. ვიცი ყვავილები გიყვარს და მეც ყოველდღე მომაქვს ყვავილები, უხმოდ ჩამოვჯდები, და ცივი ქვიდან მომზირალ შენს თბილ თვალებს ძალიან დიდხანს მივჩერებივარ დედა, ჩუმად გესაუბრები, მესმის შენი ნაზი ხმა, სიყვარულით სავსე! შენი თვალებიდან კი მხოლოდ ერთს ვკითხულობ, რომ კარგი ვაჟკაცი გინდა გამოვიდე! შეგისრულებ დედა!

გაზაფხულზე ჩემზე ადრე ვერავინ ახერხებს იების და ყოჩივარდების დაკრეფას. მე ისინი შენთვის მინდა დედა. გულზეც ხომ დავრგე იები, შენ ისინი ძლიერ გიყვარდა.

ახლა ცრემლები სულ ღაპაღუპით მდის, დედა. მე ვიცი ვაჟკაცს ცრემლი არ შეშვენის, მაგრამ ეს სილაჩრის ცრემლები კი არაა, სიყვარულის, სითბოს, განვლილი დღეების მოგონების ტკბილ-მწარე ცრემლებია, დედა...

თენდება... მე ისევ შენზე ვფიქრობ, მენატრები, სიზმარში მაინც დამენახე, მომეფერე დედიკო!

გელა გენდელიანი,
ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.

* * *

ვილაცამ შენს ზურგს უკან ამოიოხრა,
გრიმივით ნელა ჩააყოლეს ცრემლებმა სახეს
ათასგვარი ფერი ლაწვების...
დამშვიდდა ღამე,
სარკმლებიდან ვერ გაბედეს გადმოეხედათ
ძუკნა ძაღლის დაყმუვლებაზე
„სადღაც ქუჩის კუთხეში მოკვდება“
ჩაძაღლდეს ერთიც...
უდარდელად გადააფურთხეს,
ძაღლმა იგრძნო როგორ შესცივდა,
ყური მიუგდო ღამის წვალებას,
ყოველ იმის დაყმუვლებაზე
ცრემლი ნელა ეწვეთებოდა მაღალ სართულებს,
სართულებში მშვიდი ძილით ეძინა ყველას.
ხვალ ნალექიანი წვიმას გაანდობს ვარსკვლავი,
უდარდელად ჩაცურდება ტანში სიკვდილი,
თვალებს და თითებს გასცემს სიბნელე,
ცრემლი დარჩება ბეწვზე საბრალოდ,
უპატრონო ბებერი ცრემლი...

მთვარისა გენდელიანი.

ველი მოლოდინს

აყეფდა ძაღლი... და შეირხა ჩე მაგნოლიის,
შეტოკდა ისე, თითქოს ახლა იშვა ფოთოლთგან,
მიმოაფრქვია სათნოება მელანქოლიის
და ზენაბერი სურნელება მკვდრეთით მოჰქონდა.

ძაღლმა იყნოსა უჩვეულო სანახაობა,
გაახვიადა უცხო ხმაზე ყეფა ძალუმი,
სოფელს ეძინა, ქუჩებში კი დანანაობდა
მაგნოლიების საიდუმლო დღესასწაული.

—უკუნოვანი ალეწოდათ სულის სიმშვიდე,
მათ გაჩერება არ ეწადათ თუნდა თვეობით,
ღია ყვავილებს ნაზ გულ-მკერდზე გადაიშლიდნენ
და ძაღლის მოთქმას დაჰლიმოდნენ უდარდელობით.

...მაგნოლიების საუცხოო გრძელი მეჯლისი—
მკვდრეთით გაბრუნებთ ცისმარების გამოძახილი,
ოღონდ თქვენ მოდით ყოველ ღამით, ოღონდ შემპირდით,
მე სიყვარულით ავყეფდები სიზმრის ძაღლივით...

* * *

უჩუმრად ვმღერი,
უძრავად გელი,
შემომათენდა
ახალი წელი,

და კვლავ ეული
ნოტი ჩვეული,
ვარ მომლოდინე,
გადარეული.

მე ცდა მაწვალებს,
სული მაღლა მწევს,—
ორჯერ გაკოცებ
„ძველით“ ახალ წელს.

ტარიელ ფრუიძე.

გ. ლ—ს.

იასამნის რტოები ლურჯად ილებებიან,
გაზაფხულის იები როგორ მომნატრებია...
დუმს ილიას გიორგი, შენც დუმილმა გაგწირა,
ფიქრში ლამენათევი ცრემლს დაიფენ გზაწვრილად.
წადი ჩუმი ნაბიჯით, რომ დასრულდეს ზმანება,
მობეზრდებათ ცრემლებსაც მარტოსულის წამება,
გათელილა მიხაკი, „ლაშარელა“ დაჭრილა,
მოდი, თეთრი ლექსები გადაყარე ფანჯრიდან.
განთიადზე თოფის ხმა უკვე აღარ გაშფოთებს,
იუბილეს იგონებ და ზმანებებს აცოფებ.
ნუ მაგონებ იმ ღამეს, ღამეს, ცუკვით გადაღლილს,
ან კი როგორ შეხვდები იუბილეს—პანაშვიდს...
იუბილე ახლოა, პანაშვიდიც, ცხადია,
მეოცნებე ქალები გოლგოთაზე ადიან.
იასამნის რტოები ლურჯად ილებებიან,
ცისფერთვალა იები როგორ მომნატრებია...

ნანა აკობიძე.

№156 (6381) 27 დეკემბერი 1990წ.

ექსპერიმენტი

იუმორესკა

ახალი წლის მოახლოებამ საძარღებელი გაუჩინა ბებიას. შეკვლეს ძებნაში მოსვენება დაკარგა. ღირსეული კანდიდატურის შერჩევაში შვილიშვილებიც დაიხმარა. რვეულის ერთი გვერდი ყველაზე ღირსეულთა გვარებით გაავსო. გამოცხადდა კონკურსი, ჟიურის თავმჯდომარე, რაღა თქმა უნდა, ბებია იყო. შვილიშვილები რას არ ამბობდნენ, რომ თავიანთი ამორჩეული მეკვლე მოეწონებინათ ბებიასთვის. ბოლოს შარშანდელი მეკვლე გაახსენეს.

—რას ერჩი იმ კაცს, ძველ წელს სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია ჩვენთვის.

—კი ბებია, მარა, ბევრი რამე დარჩა მოსაგვარებელი. ტელეფონი სანახევროდ არ მუშაობს, ზარი თუ მოვიდა: პურის ქარხანაა თუ საავადმყოფოო? თვეების განმავლობაში „ტრიცატკა" პურის ჭამამ შაქარი მომიმატა, მთელი წლის მანძილზე ორადორი ბალონი გაზი ვიშოვე მხოლოდ.

—ბებია, შენ ისე ვატყობ, გაზის კანტორის უფროსი გინდა მეკვლედ.

—ღმერთმა სიკეთე მოგცეს, კაი იყოს, მარა რაფერ მევიყვანო?

—განცხადება დაუწერე სასწრაფოდ, დანამდვილებით ვიცი 31-ში ღამის 12 საათზე აქ გაჩნდება—გამოსავალი იპოვა შვილიშვილმა.

—აჰ, მაგი არ თქვა, შარშან მთელი წელიწადი გაზს ველოდინებოდი და 30 დეკემბერს დაწერილ განცხადებას რა სიკეთე მოჰყვება?!

—მაშინ ბებია, ნინო იქნება შენი მეკვლე.

—აჰ, მაგი არ გამოგონოთ!— შეჰკივლა ბებიამ—ექიმის მეკვლეობა ვინ გაიგონა, მთელი წელიწადი სასწრაფო დახმარების მანქანა იდგეს ჩემს ჭიშკართან?

—მაშ მამუკა იყოს მეკვლე.

—იურისტი?—შეიცხადა ბებიამ,—რას ამბობ, მერე სასამართლოებში ვირბინოთ მთელი წელი?

—კი მაგრამ რას დააშავებ, რომელი ხულიგანი და ბანდიტი შენ ხარ, სასამართლოში ირბინო?

—მე არ დავაშავებ, მარა მეზობელს გაქურდავენ, ქუჩაში ვიღაც გაისვრის და მერე ირბინე მოწმედ.

გვიან ღამემდე იჯდა ბებია, და მეკვლეს არჩევდა, დილას ისეთ კარგ ხასიათზე იყო, მაშინვე მიუხვდნენ, რომ საქმე კარგად იყო.

—მეკვლე ვიპოვე!—საზეიმო ხმით განუცხადა შვილიშვილებს.

—ვინ არის [illegible] ეთის ხალხში რომ ამორჩიე?

—[illegible] საზოგადოების წევრია, ქვედა დასახლებაში ცხოვრობს, სამართლიანობისათვის მებრძოლი. იქნებ ყველა მტკივნეული საკითხი მოაგვაროს.

კონკურსი დასრულდა და ოჯახის ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. ბებიას ექსპერიმენტის შედეგებზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. მეკვლეს ოჯახში ყოველთვის იმედი მოაქვს. ჯერ მთელი წელიწადი წინაა, იმედი ნუ მოგვიშალოს.

ბ. ევაშვილი.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებო!

თამილა ჯანიკოს ასულ მეგრელს

ლადო ვარლამის ძე კენჭაძეს

გილოცავთ ოჯახის შექმნას. იბედნიერეთ, იხარეთ, იმრავლეთ!

ტვიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ნარგიზა ინდისის ასულ ხეცურიანს

ზურაბ კაკოს ძე ბენდელიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს თავისუფალ საქართველოში.

ცაგერის ლიმონათის საამქროს თანამშრომლები.

გილოცავთ

გიორგი შამილის ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ დაბადების დღეს და ახალ წელს. გისურვებთ აღზრდილიყო სასახელო ვაჟკაცი და ერის საამაყო შვილი.

ნატო, ლილი, ჯემალ დავითულიანები.

გიზო უჩას ძე გოლეთიანს

ჩვენო ბიძია! გილოცავთ დაბადების დღეს, იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი, მრავალი დაბადების დღე მოგველოცოს თქვენთვის.

ელზა, ეკა გოლეთიანები.

ნათელა შარდენის ასულ კოპალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

ლენა, ნინო, სოზარ, შურმან კოპალიანები.

მანანა ლადოს ასულ ხეცურიანს

გილოცავთ დისშვილის შეძენას. ღირსეული ქართველი ვაჟკაცი გაზრდილიყოს ერის სასახელოდ. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილება.

ჯონი ხალიანი, ვახტანგ სალინაძე, თამაზ ჩაკვეტაძე, თამაზ კოპალიანი, რეზო შკუბულიანი, ზაზა ყურაშვილი, ზურაბ ჯამბურიძე, მირზა ლიპარტელიანი თანაუგრძნობენ იური ომანაძეს ძმის

ავთო ინდიკოს ძე ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ დემურ კოპალიანს დედის

ნინა აკობიძე-კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

შვილი იური, რძალი სვეტლანა, შვილიშვილები ანდრო, მაგდანა კაპანაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სეფორან ანდრიას ასული ბრეგვაძე-კაპანაძე.

დაკრძალვა 3 იანვარს, ხუთშაბათს, სოფ. ლასურიაში.

კუკური მდივანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნინა კოპალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სეფორან ანდრიას ასული ბრეგვაძე.

ცაგერის საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამარა და ჯემალ კოპალიანებს რძლის

ნინა აკობიძე-კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ნანა ბატიაშვილი, ნანული სილაგაძე, ნანა, დინარა მდივნები, მანანა, ნუნუ გოგიძეები თანაუგრძნობენ დოდო კოპალიანს დედის

ნინა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ზუბის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა ჩაკვეტაძეს მამიდის

ნინა აკობიძის

გარდაცვალების გამო.

ზუბის სასოფლო საბჭოს, კავშირგაბმულობის განყოფილების, საექიმო უბნის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისა და პურსაცხობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა, იური ომანაძეებს, ნანული, გუშერ ბენიძეებს ძმისა და ცოლიძმის

ავთანდილ ინდიკოს ძე ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ჯემალ დავითულიანი, ინდიკო ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილიტო ლიპარტელიანი.

ბუჩუ, თენგულ კოპალიანები, კარლო თოთაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილიტო კოპალიანი-ლიპარტელიანი.

რეზო შკუბულიანი, ჯონი, მაია ხალიანები, თინა კოპალიანი, მალედი სალინაძე, მზია ლეთოდიანი თანაუგრძნობენ ლია და შოთა ლიპარტელიანებს რძლის

ნინა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნარა ომანაძეს ბიძაშვილის

ავთო ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გუგული ლომთაძეს ბიძაშვილის

მიშა ლომთაძის

გარდაცვალების გამო.

გიზო კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ანზორ ვალიკოს ძე ბენდელიანი.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი აზა ლიპარტელიანი თანაუგრძნობენ იური ბენდელიანს მამის

ანზორ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ლოლა, მევლუდ, გოგი ბენდელიანები, გელა, იზო კუხალაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ვალიკოს ძე ბენდელიანი.

ზაური, რეზო ყურაშვილები, გურამ თუთისანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სულიკო კუხალაშვილს დეიდაშვილის

ავთო ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მანანა და დუდუშა გორგასლიძეებს

მირიან გივის ძე გორგასლიძის

გარდაცვალების გამო.

მურადი კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს დემურ კოპალიანს დედის

ნინა აკობიძის

გარდაცვალების გამო.

მიშა ჩაკვეტაძე, თამაზ ფუტკარაძე, გოგი მეშველიანი, ქორა კუხალაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილიტო ლიპარტელიანი.

ერმილე ბენდელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ანზორ ვალიკოს ძე ბენდელიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზუბის საბავშვო-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანული ომანაძეს ძმის

ავთო ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ალიოშა, დათო, ნელი, მერი, ციცო ბრეგვაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სეფორან ბრეგვაძე.

ქალაქის №1 ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა აკობიძე-კოპალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34. სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.